

სანიგუპო წესრიგი - ყველგან და ყველავარში!

საქართველოს პარტიული აქტივის კრებულთან

„მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართლდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღების შემდეგ გახული ნახევარი წელი ამ უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტის მოთხოვნების განხორციელების დაწყებითი ეტაპი გახდა. დადგენილება, რომელიც დიდწილად შედგება წინასწარმართლწესრიგის დასაცავად მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, სამართლდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, სოციალისტური კანონიერების განმტ-

კიცების გზაზე სკკ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ახანაგ ლ. ი. ბრუნევის შრომებში, მოხსენებებში და გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად, — პარტიულ, საბჭოთა, აღმინისტრაციულ ორგანოებს, მთელ საზოგადოებრიობას რაზმავს ამ მიმართულებით უფრო მიზანსწრაფული, გეგმავალი აქტიური საქმიანობისათვის. როგორია მისი პირველი შედეგები? რა უნდა


გაკეთდეს დღეს და თვალსაწიერ მომავალში დადგენილებით დასახული ამოცანების სრული გადაწყვეტისათვის? ამ კითხვებს პასუხი გაცა თბილისში გამართულმა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ, რომელმაც განიხილა საკითხი — „საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და აღმინისტრაციული ორგანოების საქმიანობისადმი პარტიული ხელშეწყობის სრულყოფისათვის“. მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართლდარღვევა-

თა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად. მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა. კრებაზე ვრცელი სიტყვა წართქვა სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ. კრებამ დაწვრილებით გააანალიზა რესპუბლიკაში დამნაშავე-

ობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა, განსაზღვრა სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა რეალიზაციისათვის მუშაობის მთავარი მიმართულებანი. გამოსვლებში მწვავედ და პრინციპულად ლაიხვა აღმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხები, შეიტანეს სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განსამტკიცებლად, მშრომელთა მართლშეგების ასამაღლებლად მიმდინარე მუშაობის პარტიული ხელშეწყობის სრულყოფის კონკრეტული წინადადებანი.

დიდი
სპორტული
ფორუმის
სტარტი

პროლეტარმაგ ყველა ჰაქმინსა, შვირთქლით!



№ 30
(6591)

1980 წ.
თებერვალი
ოთხშაბათი
შანი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან



ღეს ლეიკ - კლასიკი იხსნება ზამთრის XIII თამაშები

მსოფლიოს 36 ქვეყნის სპორტსმენები მზად არიან XIII ზამთრის ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნისთვის. ეს ცერემონია იტალიის ლეიკ-პლაციდში სწორედ დღეს შედგება, თუმცა ოლიმპიადამ სტარტი უკვე აიღო: გუშინ საბჭოთა ჰოკეისტები თავიანთ ქვეყნულ იაპონელებს ხვდებოდნენ. პოკეისტები 2 ქვეყნულად გაიყვნენ. პირველ ანუ „ლურჯ“ (როგორც აქ უწოდებენ) ქვეყნულში შევიდნენ ჩეხოსლოვაკიის, ნორვეგიის, შვეიცარიის, ფინეთის, აშშ-ისა და რუმინეთის გუნდები. მეორე ანუ „წითელ“ ქვეყნულში ურთიერთობას არაკვივენი საბჭოთა კავშირის, კანადის, ფინეთის, პოლონეთის, იაპონიისა და

პოლონეთის კოლექტივები. ქვეყნულში უნდა გამოვლინდეს ორ-ორი უძლიერესი ნაკრები, რომლებიც შემდეგ ოლიმპიადის მედლებს გაითამაშებენ. ნიუ-იორკის შტატის უკიდურეს ჩრდილოეთის ამ პატარა ქალაქში, რომელიც არც ისე მაღალი მთებითაა გარშემორტყმული, სულ 2800 მცხოვრებია, მაგრამ ახლა აქ თითქმის 20-ჯერ მეტი ადამიანი თავსუყრილი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. სასპარეზოდ ლეიკ-პლაციდს უკვე იქნა 2000-მდე სპორტსმენი და 3000-ზე მეტი ურჩხოლისტი. საბჭოთა სპორტსმენები ოლიმპიურ სოფელში დაბინავდნენ, შემდეგ რამდენიმე გრაჯიში გამართეს. ერთი ასეთი ერთობლივი

წვრთნა ჩაატარეს საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს ბიატლონიკებმა. დღესვე ოლიმპიადაზე ბრძოლაში ჩაებმებიან ციკლით დაშვების ოსტატები. ხვალ კი გაჩაღდება მოციგურავეების, თხილამურებით მორბენლების, სამთომოთხილამურების ასპარეზობანი. 15 თებერვლიდან სტარტზე გამოვლენ ფიგურული სრიალის ოსტატები. 16, 19 და 22 თებერვალს ურთიერთობას გაარკვივენ ბიატლონიკები. 17 და 23 თებერვალს მედლებს გაითამაშებენ „მჭრინავი მოთხილამურები“, ხოლო 18 და 19 თებერვალს მოეწყობა ორკიდელების შეჯიბრებები. თამაშების დედაქალაქში აფრიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ს. ვენის ჩამოსვლამ და სოკო-ის სესის სხილამაზე მისმა გამოსვლამ ოღნავადაც ვერ შეაჩერა ის მეგობრული ატმოსფერო, რომელიც თამაშების მონაწილე ქვეყნების სპორტსმენთა შორის სუფევს. ასეთი ატმოსფერო კი იმის გაჩინების იძლევა, რომ XIII ოლიმპიადის თავიდან ბოლომდე მეგობრულ, ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაივლის.

ქართული

● წყალგაზრტი
თბილისელთა მესამე გამარჯვება ბრძოლაში სსრ კავშირის წყალბურთულთა ჩემპიონატის პირველი წრის პირველი ტურის შეხვედრები. მიწის ქვეყნულში თბილისის დინამოელებმა მეოთხე შეხვედრა გამართეს და მესამე გამარჯვება მოიპოვეს, ამჯერად დამარცხეს ტაშკენტის „მეხნატი“ — 11:8.
დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) — „დინამო“ (მოსკოვი) 6:11, „დინამო“ (კიევი) — ფისკ (მინსკი) — 5:4.
მოსკოვის ქვეყნულში ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის უნივერსიტეტელებმა სამი დამარცხების შემდეგ გამარჯვება მოიპოვეს. მათ მოუგეს „მოსკოვს“ — 9:8. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის წყალბურთელებმა სდიეს ლეოვის „დინამოს“ — 9:5, ხოლო კასპის წითელდროშოვანი ფლოტის (ბაქო) სპორტსმენებმა — ალმათის „დინამოს“ — 7:6.

● კალათაგაზრტი
პირველი დამარცხება კალათბურთულ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველ დღეს თბილისის „დინამოს“ გამარჯვების შესახებ უკვე ვიცობინებოდით. გააცნობით დანარჩენ შეხვედრათა შედეგებს: „სტრატეგია“ (კიევი) — ასკ (კიევი) 99:98 (53:48), „დინამო“ (მოსკოვი) — რტი (მინსკი) 110:96 (58:44), „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „სტრატეგია“ (ვილნიუსი) 78:76 (43:44), „კალევი“ (ტალინი) — ვეფი (რიგა) 102:96 (56:50).
პირველად დამარცხდნენ სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონები — მოსკოველი არმიელები. მათ დამარცხებთ ღრთში წააგეს კალნასის „კალგირისთან“ — 107:108 (96:96, 58:51).
შპანსაქმელ საბჭოს! საკავშირო ჩემპიონატის მეორე დღეს თბილისის „დინამო“ თავის მოსკოველ თანაკლებლებს შეხვდა. გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 102:96.

● სამთო
სათხილამურო სპორტი
მხსუნარა ვაჟი
ბაჰარინში შეანიშნავე ამინდია — თერმომეტრი 5-6 გრადუს სითბო აჩვენებს. დამსვენებლებმა მზის აბაზანებს ეშურებინან, მაგრამ უხვი მზე ყველას როლი ახარებს. ოვი განსაკუთრებით არ მოსწონთ სამთომოთხილამურებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის III ტურში ასპარეზობენ. გუშინ ვაჟები ჩეორე გიგანტურ „სლოლოში“ ცდიდნენ ძალებს. მაგრამ სითბომ კონტაგორაზე თოვლი იხე გააღწო, რომ გრასაზე (სიგრძე 1100 მ, სიმაღლეთა სხვაობა 350 მ, 48 კარი) სიჩქარე საგრძნობლად დეცა. განსაკუთრებით ცუდ პირობებში აღმოჩნდნენ ბოლო ქვეყნების მონაწილენი, რომელთა შორის საქართველოს სპორტსმენიც იყვენ.
პირველ ცდაზე ტრასა 100 მეტრით დამოკლეს და 2 კარით შეამცირეს. ოვი ყველაზე სწრაფად ნოსოვმა გაიარა — 1:08,55, სინეტოვმა 0,09 წამით მეტი დასაჩა. ორი ცდის ჩაში ნოსოვს 2:19,42 დაუგროვდა, რამაც მას პირველობა მოუტანა. II ადგილზე გვიდა სინეტოვი — 2:19,46. III — ს. ნაზაროვი — 2:19,50.
ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან ყველაზე კარგად იასპარეზეს ლინაოელოვა ვ. ანაკოევა (2:24,98) და სპარტაკოვმა ს. მიქაბერიძემ (2:26,12), მათ 21-ე და 23-ე ადგილები დაიკავეს 109 მონაწილეს შორის.
დღეს ქალები გიგანტური სლალომის მეორე შეჯიბრებას მართავენ.
მ. ნოზაძე.
(ტელეფონით, „ლელოს“ საც. კორ.).

წარგაზაბას გისურვებთ, ოლიგაიელებო!

ღეს ლეიკ-პლაციდში საზეიმოდ გაიხსნება ზამთრის XIII ოლიმპიური თამაშები. მთელი მსოფლიოს სპორტის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში ზამთრის საზეიმოთა შესანიშნავი ოსტატების უმაღლეს დონეზე ასპარეზობა დადგა. დიდია ამ თამაშების მნიშვნელობა, განსაკუთრებით საბჭოთა სპორტსმენებისთვის, რადგან მომავალი ზაფხულის XXII ოლიმპიადის მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელთა გამოსვლებს გაათვალისწინებულ ყურადღებით ადევნებს თვალს მთელი პლანეტა.
დიდა საბჭოთა ადამიანების ყველა სპორტის მოყვარულის სურვილი გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე იხილოს სამშობლოს წარგზავნილები. ჩვენს ოლიმპიელებს ახალ-ახალ გამარჯვებებს უსურვებენ საქართველოს მშრომელები, სპორტის მოყვარულნი და ამ კეთილ სურვილს აქვს, ასე ვთქვათ, განსაკუთრებით დაინტერესებული ხსიათი — საბჭოთა ოლიმპიელთა დიდი უმრავლესობა ხომ სწორედ აქ, ჩვენთან, ბაკურიანში ემზადებოდა ლეიკ-პლაციდის სტარტებისთვის!
მასპინძელთა კეთილი სურვილების ერთ-ერთ — გამოხატვად უნდა ჩაითვალოს ის საეცილო-

რი გამოცემაც, რომელიც ლეიკ-პლაციდში წასულ ჩვენს სპორტულ დესანებს მიუძღვნეს გაზეთებმა „მოლოდიოე გრუზიამ“ და „ახალგაზრდა კომუნისტმა“. ლამაზად გაფორმებულ ამ გამოცემაში დასტამბულია საქართველოს კომპავშირების, ახალგაზრდობის განანესი, რომელიც ჩვენს ოლიმპიელებს მოუწოდებს მაღლა ეჭიროთ საბჭოთა სპორტის დროშა, თავდაუზოგავად იბრძოლონ წამის ყოველი

მეასედისთვის, ყოველი სანტიმეტრისთვის!
სეცილოურ გამოცემაში, რომელიც უხვადაა ილუსტრირებული, დასტამბულია მრავალი მასალა, რომელიც საბჭოთა ოლიმპიელების წარმატებებზე, მათ ვაგაცვობის მაგალითებზე ამხვილებს ყურადღებას.
საბჭოთა ოლიმპიელებს წარმატებით ასპარეზობას უსურვებენ საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის პრეზიდენტი ე. ხარაძე, „მთავართბოლმშენის“ № 15 ტრესტის მემონტაჟეთა ბრიგადის ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. ქართველიშვილი, ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი ტადრაკში მ. ჩიბურდანიძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. ნაქაძე.
გამოცემათა კომპლექტი საბჭოთა ოლიმპიური გუნდის მიამართით ლეიკ-პლაციდში გაიგზავნა.
ექვარეშეა, რომ ეს მშვენიერი გამოცემა გახდება კიდევ ერთი სტიმული საბჭოთა ოლიმპიელთათვის. დაე, ბაკურიანის დათოვლილმა ტრასებმა ისინი მიიყვანოს შორეული ოლიმპიური ლეიკ-პლაციდის გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე!



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა შეაჯამა წარსულის ოლიმპიური სახეობებში უმაღლესი სპორტული ოსტატობის ამაღლებისათვის რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს შორის გაწეული სოციალისტური შედეგების 1979 წლის შედეგები.

უმაღლესი სპორტული ოსტატობის განვითარებისათვის გამოწეული შედეგების 3 ჯგუფად მიმდინარეობდა. მონაწილეობდნენ: I ჯგუფში — ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქების 11 სპორტკომიტეტი, II ჯგუფში — 9 სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ფიზკულტურული ორგანიზაციები, III ჯგუფში — 26 რაიონული სპორტკომიტეტი.

რესპუბლიკის სპორტკომიტეტი თვლის, რომ სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ცენტრალური საბჭოების, საკავშირო პოლისპორტის, სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში, პირველად, საერთაშორისო ტურნირებში, სსრ კავშირის ხალხთა VII სპორტაკადემია საქართველოს სპორტსმენებმა გარკვეულ წარმატებებს მიიღწიეს.

47 სპორტსმენმა შეასრულა ან დაადასტურა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი, სპორტის 40 სახეობაში 330-ზე მეტმა კაცმა გადააშტა სპორტის ოსტატის ნორმატივი. გასული წლის მანძილზე საქართველოს 26 სპორტსმენი იყო ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების გამარჯვებული და პრიზიორი მოხრდილთა, იუნორთა და მოხარდთა შორის, 25 კაცმა მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, ხოლო 19-მა — ევროპისა და ბრინჯაოს მედლები. რესპუბლიკის 56 სპორტსმენი გახდა საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპორტაკადემიის ჩემპიონი თუ პრიზიორი პირად და გუნდურ შეჯიბრებებში.

რესპუბლიკის სპორტსმენებმა დასაყრდენი: ერთი მსოფლიოს თასი, 2 ევროპის თასი და 1 კონტინენტის თასი (გოგონათა შორის). ამას გარდა, მათ მოიპოვეს საბჭოთა კავშირის 6 თასი, რესპუბლიკის 121 სპორტსმენი გახდა მსოფლიოს, ევროპისა და საბჭოთა კავშირის პირველობის, სხვა საკავშირო შეჯიბრებისა და ტურნირების გამარჯვებული; 27 სპორტსმენი პირველ ადგილზე გავიდა ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირებში, ხოლო 22-მა ამავე შეჯიბრებებში ევროპისა და ბრინჯაოს მედლები მიიღო.

ბევრმა სპორტულმა ორგანიზაციამ 1978 წლის შედეგებთან შედარებით საგრძნობლად აამაღლა მაჩვენებლები. I ჯგუფში კვლავინდებურად მტკიცედ ლიდერობს თბილისის კოლექტივი. ქუთაისის ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ IV ადგილიდან II ადგილზე გადაინაცვლა, რუსთავის V ადგილიდან — IV-ზე. „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკურმა საბჭომ II ადგილიდან I ადგილზე აიწია. ამიერკავკასიის მსხვერპო ოლქის სპორტულმა კლუბმა IV ადგილიდან II ადგილზე გადაინაცვლა. III ჯგუფში გარდაბნის რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაცია გასული წლის II ადგილიდან საუხურით მალა ავიდა, ხოლო კასპის რაიონი V-დან II ადგილზე დამკვიდრდა. შედეგები გააუმჯობესეს, აგრეთვე, დუშეთის, ახმეტის, თელავის რაიონებმა.

აღინდელ დონეზე დარჩნენ აფხაზეთის ასრ-ს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ფოთისა და ჭიათურის, მცხეთის რაიონის, „შრომითი რეზერვების“, „სპარტაკის“, „კოლმეურნის“, „ვოლნიკის“ ორგანიზაციები.

IV ადგილზე „გადასახლდა“. საგრძნობლად დათმეს პოზიციები, აგრეთვე, ზესტაფონის (VI-XIX), საჩხერის (VIII-XVIII), მესტიის (XIII-XXI) რაიონებმა, ხოლო ახალციხის რაიონის ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ, რომელიც 1978 წელს სოციალისტურმა VII ადგილზე გავიდა, წლებში ამ ორნისძიებაში მონაწილეობა არ მიიღო.

წლებიდან სოციალისტური შედეგების შედეგების ანალიზი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ სპორტსმენებსა და გუნდებს თანაბარი წვლილი ვერ შეუქონდათ თავიანთი ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქების, რაიონების „ყულობის“ მივლინება. I ჯგუფის კოლექტივებში გამარჯვებულმა თბილისმა II ადგილზე გასულ ქუთაისს (506,9 ქულა) 6834,6 ქულით აჯობა, ზუგდიდის, ჭიათურის, წყალტუბოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა წლის მანძილზე სულ შესაბამისად 47,0, 29,0 და 1,0 ქულა მოაგროვეს და IX, X და XI ადგილებზე გავიდნენ.

სოციალისტური შედეგებში მთლიანი შესაძლებლობანი ვერ გამოავლინეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (103,8 ქულა — VIII ადგილი) და ფოთის (192,3 — VII ადგილი) ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა, ხოლო ტყიბული უკვე მეორე წელი ამ ორნისძიებაში შეუფასებელი რჩება.

დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობა II ჯგუფში. „ვოლნიკი“ (277,4 ქულა — IX ადგილი) და „კოლმეურნი“ (806,0 ქულა — VIII ადგილი) საგრძნობლად ჩამორჩნენ „ბურევესტნიკს“, რომელმაც 2358 ქულა მოაგროვა.

შეჯიბრების ანალიზმა დადასტურა, რომ სპორტის ზაფხულის ოლიმპიური სახეობების განვითარებაში საგრძნობლად ჩამორჩებიან III ჯგუფის კოლექტივები — რაიონების სპორტული ორგანიზაციები. საქართველოს 51 რაიონიდან სოციალისტური შეჯიბრებებში მხოლოდ 26 მონაწილეობდა (1978 წელს — 13).

ამ ჯგუფში I ადგილზე გასულმა გარდაბნის რაიონის სპორტკომიტეტმა მოწინავე პოზიციების ტურნირებში მასობრივი გამოსვლებით მიაღწია. მაშინ, როცა გარისა და ცხაკაის კოლექტივები (მათ XXV-XXVI ადგილები დაიკავეს), საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპორტაკადემიაში მონაწილეობის მიუხედავად, სოციალისტური შეჯიბრებებში შეუფასებელი დარჩნენ, რადგან თითო სპორტის ოსტატის მომზადებაც კი ვერ შეძლეს.

ასევე ქულა ვერ აიღეს ოლიმპიურ სახეობებში გარკვეული ტრადიციების მქონე ახალქალაქის, ყვარლის, ლაგოდეხის, მარნეულის, მაიაკოვსკის, წულუკიძის სპორტკომიტეტებმა. გურჯაანის, მესტიის, ლენტეხის, ჩოხატაურის რაიონებმა კი თითო ქულა მოიპოვეს დაუგეგმავ სახეობებში თითო სპორტის ოსტატის მომზადებისათვის.

საქართველოს სპორტკომიტეტმა ჯგუფების მიხედვით სოციალისტური შეჯიბრებებში საპრიზო ადგილებზე გასული ორგანიზაციები დააჯილდოვა ვიმპლებითა და შესაბამისი ხარისხის დიპლომებით. I ჯგუფში (ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქი, ქალაქები) I ადგილისათვის (თავმჯდომარე გ. ყირმელაშვილი), რომელმაც 7341,5 ქულა მოაგროვა, დაჯილდოვდა ვიმპლითა და I ხარისხის დიპლომით; II ადგილზე გასულ ქუთაისის (ლ. ახვლედიანი) ორგანიზაციას (506,9 ქულა) მიეკუთვნა ვიმპელი და II ხარისხის დიპლომი; III ადგილი — ხათვის აპარის ასსრ (ზ. მამუკაძე) სპორტკომიტეტს (487,6 ქულა) მიეკუთვნა ვიმპელი და III ხარისხის დიპლომი.

II ჯგუფში (სპორტსაზოგადოებები და უწყებები) I ადგილის მოპოვებისათვის „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭო (თავმჯდომარე ნ. ასათიანი, 2358 ქულა) დაჯილდოვდა სპორტკომიტეტის ვიმპლითა და I ხარისხის დიპლომით. II ადგილისთვის ვიმპელითა და II ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა აშირკაპაზის ფიზკულტურული ორგანიზაცია (თავმჯდომარე ი. აბაშიანი, 2358 ქულა) დაჯილდოვდა სპორტკომიტეტის ვიმპლითა და II ხარისხის დიპლომით. III ადგილისთვის ვიმპელითა და III ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო (თავმჯდომარე ი. აბაშიანი, 2358 ქულა) დაჯილდოვდა სპორტკომიტეტის ვიმპლითა და III ხარისხის დიპლომით.

დომარის მოადგილე ვ. თელია, 1949 წ.).

III ჯგუფში (რესპუბლიკის რაიონები) ასეთვე წილობები მიეკუთვნათ: I ადგილისათვის ბარდაბნის სპორტკომიტეტს (თავმჯდომარე ვ. ნუცუბიძე) — 199 ქულა, II ადგილისთვის პასპის სპორტკომიტეტს (ა. ჯალაღი) — 152, III ადგილისთვის მცხეთის სპორტკომიტეტს (ა. ბერიძე) — 133,6.

აღინშული სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა გამოუცხადა მადლობა.

რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა მოიწონა „განთავის“ ცენტრალური საბჭოს (თავმჯდომარე ა. გოთარბიანი), „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს (თავმჯდომარის მოადგილე ა. შენგელია), „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს (თავმჯდომარე თ. ქობულაძე), „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს (ა. კორინთელი), აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის (დ. ხვარცია), რუსთავის (კ. ნაჭყვიაძე), გორის (ყოფილი) თავმჯდომარე გ. ლალუაშვილი, ახმეტის რაიონის (ვ. გორნაკაშვილი), სიღნაღის რაიონის (ვ. მუსლიშვილი), ორჯინიძის რაიონის (ა. მაჭავარიანი) და ხაშურის რაიონის (ნ. ნოზაძე) კომიტეტების მუშაობის დადებითი გამოცდილება.

საქართველოს სპორტკომიტეტმა განსაკუთრებით აღინშნა უმაღლესი სპორტული ოსტატობის საქმეში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სპორტკომიტეტის (თავმჯდომარე ი. სლანაძე), ქ. ფოთის (თ. ხომერიკი), ქ. ზუგდიდის (კ. ხორავა), ქ. ჭიათურის (გ. პაპიძე), აგრეთვე, ზესტაფონის (კ. ბაზაძე), თერჯოლის (ლ. ლონდარიძე), საჩხერის (დ. გოშაძე), საგარეჯოს (გ. ოდიკაძე), ბოლნისის (გ. მარგანი), ქარელის (თ. გოგიაშვილი), ლანჩხუთის (თ. ქერქაძე) და სხვა რაიონების სპორტკომიტეტების უმჯობესი მუშაობა, ხოლო ქ. ტყიბულის (გ. მერკვილაძე), ქ. წყალტუბოს (შ. კინწურაშვილი), ამბროლაურის (დ. ბაკურაძე), ახალქალაქის (მ. კირაკოსიანი), ახალციხის (მ. აბე), ბოგდანოვსკის (გ. გარსლიანი), გურჯაანის (ნ. ძველაშვილი), ყვარლის (ტ. გოგიაშვილი), ლაგოდეხის (ა. ბერიშვილი), მარნეულის (ვ. ახმედოვი), თიანეთის (ა. შენგელია), ცხაკაის (შ. ჩიქოვანა) და

სხვა რაიონების სპორტკომიტეტების არადამაკმაყოფილებელ საქმიანობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ მათ არავითარ წესდროს არ შეიტანეს რესპუბლიკის სპორტულ მიღწევებში.

საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა, აჭარისა და აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ფოთის, ჭიათურის, ზუგდიდის, ტყიბულის, წყალტუბოს საქალაქო, ყველა რაიონის სპორტკომიტეტებს, სპორტსაზოგადოებათა ცენტრალურ და რესპუბლიკურ საბჭოებს, უწყებებს, არმიის სპორტკლუბს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს დაავალა 1980 წლის სოციალისტური შედეგების შედეგების უფრო გულმოდგინედ აღრიცხვისა და შედეგების უშეცდომოდ შეჯამებისათვის საქართველოს სპორტკომიტეტის დაგეგმვისა და აღრიცხვის განყოფილებაში რეგულარულად წარმოადგინონ მასალები მათი სპორტსმენების მიერ საკავშირო, ევროპის, მსოფლიო მასშტაბის შეჯიბრებებსა და ოლიმპიურ შედეგების შესახებ. ფართოდ გამოიყენონ სპორტული მედიის საშუალებები, განსაკუთრებით ტელევიზიის, რადიოს, გაზეთების, ჟურნალების, ბავშვთა სპორტული მუშაობის, პიუბლიცისტიკის, სპორტული მონიტორინგის და სხვა სახის საშუალებების საყრდენი რტსმენები; საგრძნობლად სპორტის მასობრივ მუშაობა და მთავარი ღონისძიებების, უზრუნველყვასის სპორტსმენებისა და ქვეყნის დების კანდიდატურათა შორის ტრენინგების მსოფლიო XXII რმატებით მონაწილეობა.

ს ა გ რ ე ლ ო რ ო ც ხ რ ი

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს შორის უმაღლესი ანტიარაბისტის 1979 წელს გაწეული სოციალისტური შედეგების შედეგები

Table with columns for categories (I, II, III groups), sub-categories, and numerical data points representing performance metrics across various sports and regions.

შ ე ნ ი შ ე ნ ე ა: გრაფში „დაკავებული ადგილების რაოდენობა“ გათვალისწინებულია სპორტსმენების (გუნდების) I, II, III ადგილები; ქულები დარიცხულია მხოლოდ ზაფხულის ოლიმპიურ სახეობებში: I ადგილისთვის — 5 ქულა, II ადგილისთვის — 3 ქულა, III ადგილისთვის — 2 ქულა. საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპორტაკადემიაში კოლექტივების მიერ მოგროვებული ქულები დარიცხულია მთლიანად. გრაფში — „საერთაშორისო კლასის ოსტატის“ ორგანიზაციებს ზაფხულის ოლიმპიურ სახეობებში დაგეგმილ ქულა, ხოლო დაუგეგმავ სახეობებში — 2-2. გრაფში — „სპორტის ოსტატები“ ორგანიზაციებს ერიცხებათ ყოველი შესრულებული ნორმატივის 2-2 ქულა. გრაფში — „ქულების საერთო ჯამი“ არ შედის ზამთრის სახეობებში მოპოვებული ქულები (იგი ცალკე, მასის გრაფში).

ვაჯაგაბთ სოსილისფური შეჯიბრების შედეგებს

დასასრული

მეორე ადგილზე არიან: ძიულდოში — ბ. გასიაშვილი (თბილისი, „სპარტაკი“), კლასიკურ ჭიდაობაში — ზ. ივანიშვილი, გ. სალთხუციანი (ორივე — გარდაბანი, განათლების სამინისტრო), ტრეკზე ინდივიდუალურ რბოლაში — ი. კახაკოვი (თბილისი, „განთიადი“), 1500 მეტრზე რბოლაში — ლ. წინწალაშვილი (ახმეტა, „კოლმეურნი“), ჩოგბურთში, ერთეულთა და წყვილთა თანრიგში — ი. ანტონიანი, წყვილთა თანრიგში — რ. გეგორქიანი (ორივე — თბილისი, „დინამო“), გ. ლევაგა (თბილისი, „განთიადი“), ი. მეტრეველი (თბილისი, „დინამო“), ერთეულთა და წყვილთა თანრიგში — ვ. ხურდა (თბილისი, „დინამო“), ფიგურულ სრიალში (ცეკვა) — ლ. სამხარაძე, ნებისმიერ და აბსოლუტურ შეჯიბრებაში — ა. ტორიანი (ორივე — თბილისი, „განთიადი“), ფეხბურთში — განათლების სამინისტროს (თბილისი) გუნდი (15 ჭაბუკი).

მესამე ადგილზე გავიდნენ: ჩოგბურთში — რ. მეტრეველი, ა. პოლოსოვა, ზ. ფოცხვერია (ყველა — თბილისი, „განთიადი“), ფიგურულ სრიალში (სკოლა და ცეკვა) — ა. ტორიანი (თბილისი, „განთიადი“), ფეხბურთში — ქუთაისის „განთიადის“ გუნდი (15 ჭაბუკი), თბილისის ასკ-ს გუნდი (15 ჭაბუკი).

საერთაშორისო ტურნირების ჩამოიწინა გახდნენ: კრივში (ინდონეზიაში) — დ. კვაძაძე (თბილისი, „ბურევესტიკი“), თავისუფალ ჭიდაობაში (გომელში) — რ. ხუტაბა (სოხუმი), ძიულდოში (უნგრეთში) — შ. ხაბარელი (თბილისი, ასკ, „სპარტაკი“), (თბილისში) — ა. წიკლაური (მცხეთა, თბილისი ასკ), რ. ხარშილაძე, დ. ბოდაველი (ორივე — თბილისი, ასკ), (პოლანდიაში, თბილისში) — თ. ხუბულური (გორი), კლასიკურ ჭიდაობაში (ბულგარეთში) — თ. ყაზარაშვილი (რუსთავი, „შრომითი რეზერვები“), შვეიცარიაში — თ. აფხაზა (ქუთაისი, „დინამო“), სამხრეთში (ბაქოში) — ს. როსტიაშვილი (თბილისი, ასკ), ტრეკზე გუნდურ რბოლაში (ჩეხოსლოვაკიაში) — პ. ჩეკარდოვი (თბილისი, „დინამო“), აკადემიურ ნიჩხოსნობაში (ტრაკიში) — ი. გვერტაძე (ქუთაისი), ტ. გორშკოვა, ვ. კიავერიანი (ორივე — რუსთავი), ლ. ცარციძე (თბილისი, ქუთაისი), მ. ცოცხალაშვილი (თბილისი) (ყველა — „განთიადი“), სამხრეთში (ჩეხოსლოვაკიაში) — ვ. სანეველი (თბილისი, „დინამო“), ცურვაში (ბულგარეთში) — მ. გორბუნოვი (ბათუმი, „დინამო“), ხელბურთში (საფრანგეთში) — თბილისის „ბურევესტიკის“ ვაჟთა გუნდი (17 კაცი), ხელბურთში (ტუნისში) — თბილისის „ბურევესტიკის“ ვაჟთა გუნდი (17 კაცი), კადრაკში (იუგოსლავიაში ორჯერ) — ნ. ალექსანდრია (თბილისი, „ბურევესტიკი“), გვრში — თ. გიორგაძე (თბილისი, „ბურევესტიკი“), მ. ჩიბურდანი-

ძე (თბილისი, „დინამო“), ჩეხოსლოვაკიაში — ბ. გურგენიძე (თბილისი, „ბურევესტიკი“), ესპანეთში — მ. ჩიბურდანიძე (თბილისი, „დინამო“).

მეორე ადგილზე გავიდნენ: თავისუფალ ჭიდაობაში (თბილისში) გ. მაქასარაშვილი (თბილისი, „ბურევესტიკი“), ძიულდოში (თბილისში) — დ. კოდანოვი (თბილისი, „ბურევესტიკი“), გ. ლოლაშვილი (თბილისი, „დინამო“), ძიულდოში (პოლანდიაში) — თ. კარიული (თბილისი, ასკ), კლასიკურ ჭიდაობაში (რუმინეთში) — თ. ყაზარაშვილი (რუსთავი, „შრომითი რეზერვები“), ცურვაში (ბულგარეთში) — ა. გორბუნოვი (ბათუმი, „დინამო“), მშვილდოსნობაში (თბილისში) — ქ. ლოსაბერიძე (თბილისი, „ბურევესტიკი“), კადრაკში (პოლანდიაში) — ნ. გაფრინდაშვილი (თბილისი, ასკ), კადრაკში (იუგოსლავიაში) — მ. ჩიბურდანიძე (თბილისი, „დინამო“).

მესამე ადგილზე არიან: თა-

ვისუფალ ჭიდაობაში (თბილისში) — მ. ხითარძე (თბილისი, „განთიადი“), ძიულდოში (პოლანდიაში) — თ. ზურაბიანი (თბილისი, ასკ), თბილისში — ა. თბაიძე, თ. კარიული (ორივე — თბილისი, ასკ), მ. ალბორიშვილი (თბილისი, „ბურევესტიკი“), დ. კოდანოვი (თბილისი, „ბურევესტიკი“), თ. ხუბულური (გორი), საფრანგეთში — ვ. გოგიაშვილი (გორი, „განთიადი“), რუმინეთში — გ. ხუსკივაძე (ხესტაფონი, „განთიადი“), სამხრეთში (ბაქოში) — ნ. ნუჯარაშვილი (თბილისი, „ბურევესტიკი“), აკადემიურ ნიჩხოსნობაში (გდრ-ში) — ვ. კიავერიანი (რუსთავი, „განთიადი“), ცურვაში (ბულგარეთში) — ა. ბოგდანოვი (ბათუმი, „დინამო“), კადრაკში (ბილგოში) — ნ. იოსელიანი (თბილისი, „განთიადი“).

საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტულ-მეთოდური სამმართველოს დაგეგმვისა და აღრიცხვის განყოფილება.

გაკურინის თოვლიან ტრასაზე

რესპუბლიკური უკლიერისნი

ერთ კვირას გრძელდებოდა საქართველოს ჩემპიონატები სათო-სათხილამურო სპორტში, ტრამპლინიდან ხტომასა და რბოლაში.

სტარტზე პირველნი სამთომთხილამურეები გამოვიდნენ. დავა პირველობისთვის ძირითადად თბილისისა და ბორჯომის (იგი მეტწილად ბაკურიანელი სპორტსმენებთან დაკომპლექტებული) გუნდებს ჰქონდათ.

სწრაფდამშეგებასა და სპეციალურ სლალომში ქალთა შორის უძლიერესი იყო ოსტატობის კანდიდატი მ. კოხანაშვილი (ბორჯომი), ხოლო ვიგანტურ სლალომში გაიმარჯვა ოსტატობის კანდიდატმა ც. კოხანაშვილმა (თბილისი). გოგონებში შესაბამისად პირველობა მიიბოვეს ნ. მესხიშვილმა (თბილისი), დ. მიქაბერიძემ (ბორჯომი) და ნ. ფარჯიანმა (მესტია).

ვაჟთა შორის სწრაფდამშეგების ტრასა ყველაზე სწრაფად გაიარა თბილისელმა სპორტის ოსტატმა ვ. სანაკოვებმა, სპეციალურ სლალომში იმარჯვა მ. ჯიჩიევამ (ბორჯომი), ხოლო ვიგანტურ სლალომში — თბილისელმა ი. გავამ.

ჭაბუკებში ჩემპიონობა მოიპოვეს გ. დიკონაშვილმა (ორ სახეობაში) და ა. მიქაბერიძემ — ვიგანტში.

სლალომისტა შეჯიბრებაში ცალკე ასპარეზობდნენ 7-8 წლის ბიჭუნები. აქ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი დათო ოჯანუხოვმა, გელა კოხანაშვილმა, ლევან აბრამიშვილმა და ლადო ანთაძემ.

გუნდურ პირველობაში გაიმარჯვეს ბორჯომელებმა, II ადგილზეა თბილისის ნაკრები, III-ზე — მესტიის კოლექტივი.

კარგი შედეგები იქნა ნაჩვენე-

ბი 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. აქ პირველნი იყვნენ ბორჯომის I გუნდის წარმომადგენლები. მომდევნო ადგილებზე არიან ბორჯომის II და თბილისის გუნდები. პირად ჩათვლაში უძლიერესთა სამეული ასე გამოიყურება: ე. ბაკიევი — 181,1 ქულა (ნახტომები 71 და 70 მეტრი), ზ. ჯანგობეგოვი — 178,9 (68,5 და 71), გ. დიკონაშვილი — 170,1 (69 და 71). სამივე ბორჯომის I გუნდის წარმომადგენელია.

100-მეტრ სპორტსმენი გამოვიდა დიდ ველზე გამართულ მრბოლელთა შეჯიბრებაში. ვაჟებში ორივე დისტანცია (15 და 30 კმ) მოიგო რ. ზედგენიძემ (თბილისი), ხოლო ჭაბუკებში თავი ისახელა ბოგდანოველმა ვ. ლადნოვმა. ქალთა შორის იმარჯვეს: 5 კილომეტრზე — ნ. ვასილენკოვამ (თბილისი), 10 კილომეტრზე — მესტიელმა ეთერ ზურბიანმა. გოგონებში ორივე დისტანციაზე უძლიერესი იყო მესტიელი ელზე ზურბიანი.

4X10 კმ ესტაფეტაში ვაჟთა შორის გაიმარჯვეს ბოგდანოვკელებმა, ქალებში (3X5 კმ) — მესტიელებმა.

უნდა აღვნიშნოთ შეჯიბრების კარგი ორგანიზაცია. ამაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ასპარეზობათა მთავარ მსაჯებს გ. ჯიჩიევს, ბ. ქუმარიშვილს და ი. პრიამორუკოს.

მ. თიხილიძე,
საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ზამთრის სპორტის სახეობებში,

შ. ბაბა,
რესპუბლიკური უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის უფროსი მეთოდისტი.

ციგურაობა

უპირიზს აჯოგა

უესტ-ალისი (აშშ) ორ დღეს გაგრძელდა სპრინტერთა მსოფლიო ჩემპიონატი ციგურებით რბოლაში. ქალთა მრავალჭიდაობაში გამარჯვებული გამოვიდა ქ. ენკე (გდრ), რომელმაც 4-დან 3 დისტანცია მოიგო, მრავალჭიდაობაში 171,120 ქულა დააგროვა და დამბობის საციგურაოებისთვის მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ვერცხლის მედალი ერგო ამერიკელ ლ. მიულერს — 174,585, ხოლო ბრინჯაოსი — ტურინის ფაგორიტს ე. პაიდენს (აშშ) — 175,130. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო გახლდათ ი. კოვროვა (V ადგილი).

ვაეებში ჩემპიონის მედალი ერგო ე. პაიდენს (აშშ) — 154,905. მომდევნო ადგილებზე არიან კა-

პენოკაჟა

ნადელი გ. ბუშე (157,920) და ტ. პლენტი (აშშ) — 158,960. ს. ხლბნიკოვმა (სსრ კავშირი) IV ადგილი დაიკავა.

კოკი

გოლო რაჟიხია

საბოთა ნაკრებმა ლეიპციგის ოლიმპიური თამაშების წინ უკანასკნელი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა გამართა ნიუ-იორკში აშშ-ს ოლიმპიურ გუნდთან და დამარცხა იგი ანგარიშით 10:3. მანამდე სპორტის სპორტსმენებმა ქ. ერში (ბენისილვანიის შტატი) მოუგეს ადგილობრივ „ბლეის“ — 9:0.

მელონობა


ვილფრედი, ვილფრედი...

იტალიის ქალაქ გენუაში გამართულ შეჯიბრებაზე ე. ცულოანიმ 200 მეტრი 21,05 წამში გაიბრინა და მსოფლიო მიწვევა დაამყარა. ბერლინში 17 წლის ი. მეკინსკიმ (გდრ) ბადროს ტყორცნაში გამოიჩინა თავი. მისი შედეგი — 64,32 მ ქალიშვილების ახალი მსოფლიო მიწვევაა.

რამდენიმე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ აგრ-ის ზამთრის ჩემპიონატის მონაწილეებს დორტმუნდში. მეგენურგმა 227 სმ მაღლემ დაძლია, ვიგანტი 671 სმ სიგრძეზე გადახტა.

ნიუ-იორკში ამერიკელი პანტი 194 სმ სიმაღლეს გადაივლო. ვაჟთა შორის ამ სახეობაში იმარჯვა ჯე. კობსმა — 226 სმ.

მხიარული ფანქრით



როდესაც გოგონა წამოიხარდა, თქვა: „აი, ცოტას კიდევ გვიხრდები და მამაჩემს სასამართლოში ვუჩივლებ... ბავშვის მამართ მკაცრი მოპყრობისათვის“.

რედაქტორი ა. ბასილიანი.

თბილისის ბავაზე

ცურვა. საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომისიონატის ზამთრის საცურაო აუზი. 13-16 თებერვალი. საქართველოს (1963 წელს) და უფრო გვიან დაბადებულნი ზამთრის პირველობა.

დასაწყისი: 10 და 15 ს 30 წ.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპუტატების თბილისი, „ლელო“.

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მახობრივი ფიგურულ-ტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მისწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; კადრების — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომწვევი — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემბრანები — 93-97-57.